ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი 05/10/2015

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 763

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის წყალი“-ს წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 106[1] მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის წყალი“-ს (ს/კ №245556679) თანდართული წესდება.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 17 მარტის №83 დადგენილებით დამტკიცებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის წყალი“-ს წესდება.

3. მიენიჭოს უფლებამოსილება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის წყალი“-ს გენერალურ დირექტორს ალექსანდრე მიქელაძეს (პირადი ნომერი 61006023835) იმოქმედოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში წარადგინოს წინამდებარე ბრძანება (თანდართულ წესდებასთან ერთად) და მოითხოვოს სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებში შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაციის განხორციელება.

4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

„დამტკიცებულია“
ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება
2015 წლის .05 ოქტომბერი, №....763

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ბათუმის წყალი“-ს

წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის წყალი“ (შემდგომში „საზოგადოება“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი დამფუძნებელი პარტნიორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი, საწესდებო კაპიტალის 100%-ის წილით, ხოლო პარტნიორის უფლებამოსილებებს ახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი (შემდგომში „პარტნიორი“).

მუხლი 2. საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საფირმო სახელწოდება

2.1. საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

2.2. საზოგადოების საფირმო სახელწოდებაა:
- ქართულად: **შპს „ბათუმის წყალი“**
- ინგლისურად: **LTD „Batumis Tskali“**

მუხლი 3. საზოგადოების იურიდიული მისამართი, რეკვიზიტები, სამეურნეო წელი და საზოგადოების საქმიანობის ხანგრძლივობა

3.1. საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, თაბუკაშვილის ქ. №19.

3.2. საზოგადოების ოფიციალური ვებ-გვერდი: www.bats.ge

3.3. საზოგადოების ელ-ფოსტა: info@bats.ge

3.4. საზოგადოების ტელეფონის ნომერი: 0422 24 22 22 (24 საათის განმავლობაში; ცხელი ხაზი)

3.5. საზოგადოების სამეურნეო (ფინანსური) წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

3.6. საზოგადოება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 4. საზოგადოების მიზანი და საქმიანობის საგანი

4.1. საზოგადოების მიზანია მოგების მიღება.

4.2. საწესდებო ამოცანების შესრულებისათვის საზოგადოებას უფლება აქვს დადოს გარიგებანი, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს

ვალდებულებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, საარბიტრაჟო და სამედიატორო სასამართლოებში.

4.3. საზოგადოებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მოქმედებს თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპებით.

4.4. საკუთარ ვალდებულებებზე საზოგადოება პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით.

4.5. საზოგადოებას აქვს საანგარიშსწორებო ანგარიშები საქართველოს საბანკო დაწესებულებებში, აგრეთვე ბეჭედი, ტიტულიანი ბლანკი, ლოგო და იურიდიული პირის დამახასიათებელი სხვა ატრიბუტები.

4.6. საზოგადოების საქმიანობის საგანია:

4.6.1. ქალაქ ბათუმის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული აბონენტების უზრუნველყოფა 24 საათიანი წყალმომარაგების და წყალარინების სისტემის მომსახურებით. ასევე მომსახურების საფასურის გაანგარიშება-გადახდევინების უზრუნველყოფა.

4.6.2. წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების სისტემის ექსპლუატაცია, მათი გამართული მუშაობის უზრუნველყოფა და განვითარება რეაბილიტაციის შემდეგ.

4.6.3. წყალმიმღებებისა და გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაცია და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

4.6.4. ადლიის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაცია და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

4.6.5. მოსახლეობის ინფორმირებულობა წყლის წარმოების, ეფექტურად გამოყენების და წყლის გახარჯვის შეზღუდვების შესახებ.

4.6.6. მრიცხველთა დაყენების ხელშეწყობა.

4.6.7. ხელშეკრულებების დადება სახელმწიფო და კერძო პირებთან სამუშაოების შესრულებასა და მომსახურებაზე.

4.7. საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, საზოგადოების და პარტნიორის ინტერესებს.

4.8. საქმიანობას, რომლის განსახორციელებლად საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზირება, სერტიფიცირება) საზოგადოება წარმართავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სათანადო ნებართვის (ლიცენზიის, სერთიფიკატის) მიღების შემდეგ.

მუხლი 5. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი და მისი ფორმირება

5.1. საზოგადოების კაპიტალი ივსება, როგორც ფულადი, ასევე არაფულადი შენატანით.

5.2. საზოგადოებას უფლება აქვს გაზარდოს ან შეამციროს საწესდებო კაპიტალი.

5.3. საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შეცვლა ხორციელდება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით.

მუხლი 6. პარტნიორის უფლებამოსილებები

6.1. პარტნიორს უფლება აქვს განახორციელოს:

6.1.1. საზოგადოების წესდების შემუშავება, დამტკიცება, არსებულ წესდებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა.

6.1.2. საზოგადოების კაპიტალში შენატან(ებ)ის, მათ შორის ფულადი შენატან(ებ)ის შეტანა.

6.1.3. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საზოგადოების კაპიტალიდან ქონების გატანა.

6.1.4. მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების მართვაში იმ წესით, რომელიც დადგენილია ამ წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით;

6.1.5. მიიღოს სრული ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ, გაეცნოს საბუღალტრო და სხვა დოკუმენტაციას;

6.1.6. მიიღოს წილი საზოგადოების საქმიანობით მიღებული მოგებიდან;

6.1.7. კანონით დადგენილი წესით შეიტანოს სარჩელი მესამე პირის მიმართ;

6.1.8. განახორციელოს წესდებით და პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება, აგრეთვე მიიღოს გადაწყვეტილება ისეთ საკითხებზე, რომლებიც სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს ან/და რომლებზეც პარტნიორთა კრება დაადგენს პარტნიორთა კრების გზით გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას.

მუხლი 7. საზოგადოების ქონება

7.1. საზოგადოება ფლობს, სარგებლობს, მართავს და განკარგავს ქონებას თავისი შეხედულებებისამებრ, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

7.2. საზოგადოების ქონება შედგება ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი საშუალებებისგან, ასევე სხვა ფასეულობებისაგან, რომელთა ღირებულებაც აისახება საზოგადოების დამოუკიდებელ ბალანსში. საზოგადოების ქონების ფორმირების წყაროებია:

7.2.1. საზოგადოების პარტნიორების შენატანები საწესდებო კაპიტალში;

7.2.2. სხვადასხვა საქმიანობისგან მიღებული მოგება;

7.2.3. ბანკებისგან და სხვა კრედიტორებისგან აღებული კრედიტები;

7.2.4. სხვადასხვა შემოწირულობები;

7.2.5. სხვა წყაროები, რომლებიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 8. საზოგადოების სამეურნეო საქმიანობა

8.1. სამეურნეო წელი არის კალენდარული წელი. პერიოდი, საზოგადოების რეგისტრაციის თარიღიდან 31 დეკემბრამდე წარმოადგენს არასრულ სამეურნეო წელს.

8.2. პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული წლიური მოგების განაწილების შესახებ.

მუხლი 9. საზოგადოების მართვის ორგანოებია:

9.1. პარტნიორთა კრება;

9.2. გენერალური დირექტორი.

მუხლი 10. პარტნიორთა კრება

10.1. საზოგადოების უმაღლესი მართვის ორგანოა პარტნიორთა კრება. პარტნიორთა კრების ფუნქციას ახორციელებს 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

10.2. პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

10.2.1. წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;

10.2.2. საზოგადოების სარეგისტრაციო განცხადების მონაცემებსა და წესდებაში ცვლილებების მიღება;

10.2.3. კანონმდებლობით დადგენილი წესით წილების შეძენა და გასხვისება, ასევე საწარმოს შეძენა, გასხვისება და ლიკვიდაცია;

10.2.4. ზოგადი პრინციპებისა და სამეურნეო პოლიტიკის განსაზღვრა;

10.2.5. ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;

10.2.6. ქონების შეძენა, გასხვისება და დაგირავება;

10.2.7. გენერალური დირექტორის დანიშვნა და გამოწვევა (განთავისუფლება);

10.2.8. ინვესტიციების შესახებ;

10.2.9. ვალდებულებათა აღება და ვალდებულებათა უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას;

10.2.10. პროკურის გაცემა და გაუქმება;

10.2.11. წლიური შედეგების დამტკიცება;

10.2.12. სტრუქტურის, საშტატო განრიგის და მათი თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრა და დამტკიცება;

10.2.13. საწარმოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

10.2.14. შენატანების მოთხოვნა;

10.2.15. დამატებითი შენატანების უკან დაბრუნება;

10.2.16. სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

10.2.17. ახალი/დამატებითი შენატანების გზით საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

მუხლი 11. გენერალური დირექტორი

11.1. საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ერთპიროვნულად ევალება გენერალურ დირექტორს;

11.2. გენერალური დირექტორის ხელმძღვანელობის უფლება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საზოგადოების სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებას.

11.3. გენერალური დირექტორი საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი

და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. გენერალურმა დირექტომა უნდა დაამტკიცოს, რომ მას არ დაურღვევია თავისი მოვალეობა.

11.4. გენერალურ დირექტორს, პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე უფლება არა აქვს პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენოს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი მოვალეობის შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო.

11.5. გენერალურ დირექტორს არა აქვს უფლება პარტნიორის თანხმობის გარეშე განახორციელოს იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება ან მონაწილეობა მიიღოს, როგორც მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა. ამ თანხმობის მიცემა შეუძლია პარტნიორთა კრებას. ასეთ საქმიანობაზე თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშვნისას პარტნიორებისათვის ცნობილი იყო, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი ეწევა ასეთ საქმიანობას და ამ საქმიანობის შეწყვეტა მისთვის აშკარად არ მოუთხოვიათ (ინტერესთა კონფლიქტი).

11.6. თუ გენერალური დირექტორის მიერ ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევისას საზოგადოებას მიადგა ზიანი, დამრღვევი ვალდებულია დათმოს ამ საზოგადოებიდან გასამრჯელოს მიღების მოთხოვნის უფლება და აანაზღაუროს ზიანი, რისი მოთხოვნის უფლებაც აქვს პარტნიორს.

11.7. გენერალური დირექტორი:

11.7.1. უფლებამოსილია დამოუკიდებლად იმოქმედოს საზოგადოების სახელით და წარმოადგინოს საზოგადოება მესამე პირებთან ურთიერთობაში.

11.7.2. ხელმძღვანელობს საზოგადოების საწარმოო-სამეურნეო და ფინანსურ-ეკონომიკურ საქმიანობას.

11.7.3. ხელმძღვანელობს საზოგადოების სტრუქტურულ ქვედანაყოფებს;

11.7.4. ქმნის პირობებს უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, მართვისა და შრომის ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდების დანერგვისათვის;

11.7.5. გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს;

11.7.6. თანამდებობაზე ნიშნავს და/ან ათავისუფლებს საზოგადოების თანამშრომლებს, მუშა-მოსამსახურეებს;

11.7.7. ამტკიცებს შინაგანაწესს, სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს და პერსონალის თანამდებობრივ ინსტრუქციებს;

11.7.8. ამტკიცებს საზოგადოების მიერ შემუშავებულ სხვა ნორმატიულ დოკუმენტებს;

11.7.9. პარტნიორთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებას განსაზღვროს ვადიანი ხელშეკრულებით ასაყვანი თანამშრომელთა რიცხოვნება და დაამტკიცოს მათი შრომის ანაზღაურების ოდენობა;

11.7.10. საზოგადოების საქმიანობის გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, მოკლევადიანი (კონკრეტული სამუშაოს შესრულების ვადით) შრომითი ხელშეკრულებით იწვევს სხვა საჭირო პირებს;

11.7.11. პარტნიორთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებას თანამშრომელთა მატერიალური წახალისების შესახებ;

11.7.12. უფლებამოსილია თანამშრომლებზე გასცეს ერთჯერადი სოციალური ხასიათის ფულადი დახმარებები, საჩუქრები, სიგელები და სხვა;

11.7.13. იღებს გადაწყვეტილებას თანამშრომელთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

11.7.14. წყვეტს თანამშრომელთა სამსახურებრივი მივლინების საკითხებს;
11.7.15. შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად მიზნობრივად განკარგავს საზოგადოების ფინანსებს;
11.7.16. ყოველწლიურად პარტნიორთა კრებას წარუდგენს ანგარიშს გაწეული სამუშაოების შესახებ.

მუხლი 12. აღრიცხვა-ანგარიშგება, რევიზია

12.1. საზოგადოებაში საბუღალტრო აღრიცხვა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2. საზოგადოების საქმიანობას აკონტროლებს პარტნიორთა კრება.
12.3. საზოგადოების საფინანსო საქმიანობის კონტროლისათვის საჭიროების შემთხვევაში პარტნიორის მოთხოვნით საზოგადოება იწვევს დამოუკიდებელ აუდიტორს.

მუხლი 13. რეორგანიზაცია (გარდაქმნა) ან ლიკვიდაცია

13.1. საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა ხდება მისი რეორგანიზაციის (შერწყმის, შეერთების, გაყოფის, გარდაქმნის) ან ლიკვიდაციის გზით.
13.2. საზოგადოების რეორგანიზაციის შემთხვევაში მისი ყველა უფლება და ვალდებულება გადაეცემა მის უფლებამონაცვლეს.
13.3. ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები

14.1. თუ ნებისმიერი მიზეზით ბათილად გამოცხადდა წინამდებარე წესდების ერთი ან მეტი დებულება, ეს არ გამოიწვევს მთლიანად წესდების ბათილობას. ასეთ შემთხვევაში დანარჩენი დებულებები ძალაში რჩება ბათილი დებულებების გარეშე.
14.2. წესდების ყველა ცვლილება და დამატება, კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაცვით, ავტომატურად ხდება მისი განუყოფელი ნაწილი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი

20/11/2017

2096-25-4-201711201503

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 2096

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის წყალი“-ს წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106^1 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის წყალი“-ს (ს/კ №245556679) წესდების (დამტკიცებული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 05 ოქტომბრის №763 ბრძანებით) მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 11.1^1; 11.1^2; 11.6^1; 11.6^2; და 11.6^3 პუნქტები:

„11.1^1. დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება ერთი სამეურნეო წლის ვადით, რომელიც მოიცავს წლის დასაწყისიდან - 1 იანვრიდან წლის დასასრულამდე - 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს (კალენდარული წელი);

11.1^2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი (პარტნიორთა კრება) უფლებამოსილია ვადაზე ადრე გაათავისუფლოს დირექტორი დაკავებული თანამდებობიდან ან გაუგრძელოს უფლებამოსილების ვადა ერთი სამეურნეო წლით;

11.6^1. გენერალურ დირექტორს უფლება არ აქვს გამოიტანოს ნაღდი ფული საზოგადოების საბანკო ანგარიშ(ებ)იდან;

11.6^2. გენერალურ დირექტორს უფლება არ აქვს საბანკო ოპერაციები (გადარიცხვები) აწარმოოს მთავარი ბუღალტერის ავტორიზაციის გარეშე. თუ საზოგადოებას არ ჰყავს მთავარი ბუღალტერი, მაშინ აღნიშნულ უფლებამოსილებას დირექტორთან ერთად ახორციელებს თანამშრომელი, რომელიც თანამდებობრივად პასუხისმგებელია საბუღალტრო აღრიცხვაზე;

11.6^3. გენერალური დირექტორი ვალდებულია ყოველთვიურად (პირველ დეკადაში) დამფუძნებელ პარტნიორს წარუდგინოს ამონაწერ(ებ)ი საწარმოს საბანკო ანგარიშ(ებ)იდან მიმდინარე თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით;“.

2. წინამდებარე ბრძანებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის წყალი"-ს წესდებაში განხორციელებული ცვლილება ვრცელდება ასევე ამ ცვლილების ამოქმედებამდე დანიშნულ დირექტორზეც, რაც ნიშნავს, რომ მოქმედი დირექტორის უფლებამოსილების ვადაა 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

3. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსს (ვახტანგ გედენიძე, პირადი ნომერი: 61001051657) დაევალოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისად კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი